ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 თებერვლის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის“ ერთი თვით ვადის გაგრძელების შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 თებერვლის სხდომის

ოქმი N 3

დაბა ხარაგაული

2020 წლის 3 თებერვალი

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი ხიჯაკაძე, ,ზურაბ ხაჩიძე, აკაკი მაჭავარიანი, ქეთევან ზუმბაძე,, თორნიკე ავალიშვილი სულ საკრებულოს 25 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ლ. ნიქაბაძე - ოპერატორი

ნ.კაპანაძე- გაზეთ „ჩემი იმერეთის" ჟურნალისტი.

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის" რედაქტორი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის" ერთი თვით ვადის გაგრძელების შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

დღის წესრიგის დასამტკიცებლად კენჭის ყრის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს კახაბერ გოლუბიანს, რომელმაც საკრებულოს წინაშე წარმოადგინა მერის წერილი, რომლითაც მერი ითხოვდა 3 თებერვლის სხდომაზე არ განხილულიყო დღის წესრიგის მე - 7 საკითხი „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე „

თ. ავალიშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს და სთხოვა განემარტა თუ რა იყო მიზეზი საკითხის განუხილველად დატოვებისია.

კ. გოლუბიანმა უპასუხა, რომ მანაც არ იცის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრის შედეგებით საკითხი დღის წესრიგიდან ამოღებული იქნა

მოისმინეს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცაი დღის წესრიგის მე- 8 საკითხთან დაკავშირებით „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის # 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მან საკრებულოს წევრებს მიმართა წინადადებით ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის საკითხი გადაიდო მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ იქნეს ჩაყენებული საკრებულო აღნიშნული საკითხიც მოიხსნას განხილვიდან

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი- 0

კენჭის ყრის შედეგებით საკითხი დღის წესრიგიდან ამოღებული იქნა

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი- 0

თავი შეიკავა 1

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა შემდეგი სახით

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის“ ერთი თვით ვადის გაგრძელების შესახებ

მომხს: მალხაზ ფხალაძე

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ანგარიშ კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პ. გოგოლაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისია მუშაობს აქტიურად , ატარებს სხდომებს, სხდომების ჩავარდნას კვორუმის არ არსებობის გამო ადგილი არ ჰქონია მე ვაფასებ დადებითად.

გ> თხელიძემ მეც ვაფასებ დადებითად, ჩვენ ერთობლივი სხდომებიც ჩაგვიტარებია

მ. ბარბაქძემ რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ ანგარიში კარგი იყო ყოფილიყო უფრო მოცულობითი და მოუწოდა კომისიას საქმიანობის გააქტურებისაკენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრების წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგ 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე -.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).
აზრი გამოთქვეს:
მ. ფხალაძემ - ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მან საკრებულოს აღნიშნული კომისიის წევრებს მოუწოდა კომისიის სხდომებში აქტიური მონაწილეობისაკენ, რადგან არის შემთხვევები კომისიის კვორუმის არ არსებობის გამო კომისიის სხდომის ჩაშლის, ყველას გაქვთ თავისუფალი არჩევანი იყოთ ან არ იყოთ ამა თუ იმ კომისიის წევრი მაგრამ სხდომებზე დასწრება სავალდებულოა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი კომისიის შემადგენლობიდან დ. მაღლაფერიძის გასვლის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის შესახებ (თან ერთვის) .
სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 24

წინააღმდე 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ (თან ერთვის) .
სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 24

წინააღმდეგ 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ. ფხალაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 17 ოქტომბერს შექმნილი „დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის“ ერთი თვით ვადის გაგრძელების შესახებ (დასკვნა თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ დაბა ხარაგაულის მე -3 საჯარო სკოლის დირექტორმა მან მოითხოვა წყლის მიწოდების პერიოდში ცვლილება, რადგან სკოლის დამლაგებლებისათვის დადგენილი განრიგი მოუხერხებელია და სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ 15. 00 საათზე თუნდაც ერთი საათით, რომ იყოს შესაძლებელი წყლის მოწოდება მარაგი ,რომ დაიდონ მან ასევე ისაუბრა დაბაში წყლის სათავე ნაგებობის შემოღობვის (სადაც წყლის დაქლორვა ხდება) შეკეთების აუცილებლობასთან დაკავშირებით და სთხოვა კომისიის თავმჯდომარეს კომისიის ან დროებითი სამუშაო ჯგუფის ფორმატში განეხილა აღნიშნული საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგ 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ქ. ზუმბაძემ დასვა შეკითხვა მომხსენებლის მიმართ, საკითხები, რომელიც მოიხსნა მხედველობაში მაქვს თანამდებობრივი სარგოს მატება, ბიუჯეტში ეს თანხა ასახულია ახლა რა ხდება?

ვ. გელაშვილმა უპასუხა მე მომხრე ვიყავი ხელფასების მატების , ახლა ავსახოთ ბიუჯეტში და დარჩება ნაშთად სახელფასო ფონდში, რომელიც საკრებულოს თანხმობის გარეშე მაინც არ გაიცემა, ახლა მეც გაურკვევლობაში ვარ.

დ. კიკნაძემ აღნიშნა მე მხარს ვუჭერდი ხელფასების მატებას ამით არაფერი არ დაშავდებოდა.

ვ. ჭიპაშვილმა, აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და კომისიის 14 წევრმა მატებას მხარი დაუჭირა, 2-მა თავი შეიკავა მიზანშეწონილად ჩავთვალეთ საკითხი გასულიყო საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ **მ. ბარბაქაძემ** საკითხის შემომტანს მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ვ. გელაშვილს შესთავაზა წინადადება წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებაში მოეხდინა ცვლილება სახელფასო ფონდის ზრდის ნაწილში , ზრდა მომხდარიყო მხოლოდ იმ პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის 1% დანამატის გათვალისწინებით და თავიდან წარმოედგინა ჩასწორებული ვარიანტი.

ვ. გელაშვილმა აღნიშნა თუ კენჭისყრა არ ჩატარდა წარმოდგენილ ვარიანტზე მე რა საფუძველი მაქვს განვახორციელო ცვლილება

საკრებულოს წევრებმა მოითხოვეს სხდომის თავმჯდომარისაგან არ დარღვეულიყო კანონი და ჩატარებულიყო წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილების კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 15 წუთიანი შესვენება

შესვენების შემდეგ განახლდა სხდომა

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით გაიმართა საბიუჯეტო ცვლილების მუხლობრივი კენჭის ყრა

1. კენჭის ყრაზე დადგა საკითხი დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის განკარგულებებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 4 983 472 ლარი.

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 23

წინააღმდეგ 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი დამტკიცდეს 2019 წლის 31 დეკემბრის N 2752 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 890 000 ლარი.

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 23

წინააღმდეგ 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი დამტკიცდეს 2020 წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მარმენიო“ - სთან გაფორმებული ხელშეკრულების საერთო ღირებულება 715 123, 60 ლარი.

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 24

წინააღმდეგ 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთებიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის 199 413 ლარის კენჭისყრის ჩატარებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება და მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ვ. გელაშვილს განმეორებით შესთავაზა წინადადება წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებაში მოეხდინა ცვლილება სახელფასო ფონდის ზრდის ნაწილში , ზრდა მომხდარიყო მხოლოდ იმ პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის 1% დანამატის გათვალისწინებით და თავიდან წარმოედგინა ჩასწორებული ვარიანტი.

შესვენების შემდეგ განახლდა სხდომა

სხდომის თავმჯდომარის წინადადებით **კენჭის ყრაზე დადგა მერიის მიერ წარმოდგენილი შესწორებული ვარიანტი** 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთებიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჭიროებისატვის მიმართული იქნეს 14613 ლარი,

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგ 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდოს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 8 260 500 ლარი 5 698 595,60 ლარით და განისაზღვროს 13 959 095,60 ლარი;

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 12324022 დაიზარდოს 5713208 ლარით განისაზღვროს 18 037 225,6 ლარი;

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგი-0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 13 959 095,60 ლარი;

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 25

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი გადასახდელები განისაზღვროს 18 037 225,6 ლარით .

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ :25

წინააღმდეგი-0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე